თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი



პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო მიწის ნაკვეთი
- ნორმატიულ ფასებს შორის საზღვარი

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი



პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო მიწის ნაკვეთი
- განაშენიანების რეგულირების ხაზი(უკანა ეზოსთვის)

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური
სსიპ. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო

ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველო

ES 7 18 00035404

პასუხი: AR601556

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურის სანებართვო
განყოფილების ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელს
თეონა ახალაშვილს

ქალბატონო თეონა,

თქვენი, მიმდინარე წლის 30 მაისის N 60-0118150449 (სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი 30.05.18 N30358) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ1“ ქვეპუნქტის მოთხოვნის თანახმად, ჩვენი სპეციალისტის მიერ განხილული იქნა, ქალაქ თბილისში, საქართველოს სამხედრო გზის, ახმეტელისა და ლუბლიანას ქუჩებს შორის ნაკვეთის 22/124-ის, სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის ნაწილში.

მშენებლობის სანებართვო პირობების პირველი სტადიის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ მე-7 თავის და SP 4.13130.2009 მე-8 თავის თანახმად, გასათვალისწინებელია მომიჯნავე შენობა-ნაგებობებს შორის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების და შენობასთან სახანძრო ტექნიკის მისასვლელი გზების მოთხოვნების დაცვა.

პატივისცემით,
ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების
მართვის მთავარი სამმართველოს უფროსი **ანდრე ქუჯაიძე**

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური / სსიპ
საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო / ქ.

თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველო
მთავარი სამმართველოს უფროსი
ანდრე ქუჯაიძე



წერილის ნომერი: **18-01181633073**

თარიღი: **12.06.2018**

ადრესატი:
თეონა ახალაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური - III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენი 2018 წლის 11 ივნისის #60-0118623365 წერილი, რომლითაც ითხოვთ, ქ.თბილისში, საქართველოს სამხედრო გზის, ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის (ნაკვ. 22/124) (ს.კ.: 01.13.01.022.194) შპს „ანაგის“ სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე ხე-მცენარეების მოჭრა-გადარგვასთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) მე-2 თავის 21-ე მუხლის შესაბამისად, ხე-მცენარეების მდგომარეობის საფუძველზე, ვინაიდან აღნიშნული ხე-მცენარეების გადარგვა ხორციელდება იმავე ტერიტორიაზე, არ ირღვევა ადგილზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა და შესაძლებლობის ფარგლებში ხე-მცენარეების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით,სამსახური არ არის წინააღმდეგი გადაირგოს 2 ძირი ოლეანდრა (#1, #2), 1 ძირი გარდენია (#3), 2 ძირი იუდას ხე (#4, #12), 1 ძირი აკაცია (#6), 3 ძირი იუკა (#7, #8, #9) და 1 ძირი ელდარის ფიჭვი (#11) იმავე ტერიტორიაზე (ქ.თბილისში, საქართველოს სამხედრო გზის, ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის (ნაკვ. 22/124) (ს.კ.: 01.13.01.022.194)) მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას/წერილობით თანხმობასა და საბოლოო თანხმობას გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

ნებართვის მიმღებმა გადარგვის შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ უნდა წარმოადგინოს გადარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტო მასალა.

გადარგული მწვანე ნარგავების 3 წლის ვადაში გახმობის შემთხვევაში ნებართვის მიმღებს დაეკისრება ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის - საკომპენსაციო რგვის განხორციელების ვალდებულება.

„ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და დადგენილების მე-3 თავის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დაინტერისებული პირის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე 15 და ნაკლები, 12 სმ-ზე მეტი ხილ-კენკროვანი ხე-მცენარეების მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე (ქ.თბილისში, საქართველოს სამხედრო გზის, ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის (ნაკვ. 22/124) (ს.კ.: 01.13.01.022.194)) მოსაჭრელი ხილ-კენკროვანი ხე-მცენარეების რაოდენობა არ აღემატება 5-ს, მათი (4 ძირი ლეღვი, 1 ძირი ჭერამი) მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს

საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

პატივისცემით,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური -
სატყეო პოლიტიკის განყოფილება -
მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)



ნიკოლოზ ბურდული